დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109223265**
თარიღი:**22/11/2022**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქორეოგრაფიული ანსამბლ ,,მართვესათვის'' ააიპ ,,დმანისის სამუსიკო სკოლის'' შენობის ფართის (სარეპეტიციო დარბაზი) იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, მე-2-ე პუნქტის, 26-ე მუხლის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 11 ნოემბრის №108-1082231550 წერილისა და შპს ,,უძრავ-მოძრავი ქონების შემფასებელთა ჯგუფი -777''-ის №1-24.10/22 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,მართვეს'', ქ. დმანისში, წმინდა ნინოს ქუჩა №58-ში მდებარე ააიპ ,,სამუსიკო სკოლის'' შენობის (ს/კ 82.01.46.785) სარეპეტიციო დარბაზის 160 კვ.მ ფართი, სარგებლობის უფლებით, იჯარით, ანსამბლ ,,მართვეს'' სარეპეტიციოდ და საიჯარო ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს 250 (ორასორმოცდაათი) ლარი თვეში.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი